ოცდამერვე ცხვარი

I

მაგიდასთან სამნი ისხდნენ. ერთ-ერთს, მოკლე ტანისას, ხელები მთლად ძირს დასთრევდა. გეგმაზომიერება აკლდა მის სხეულს. შუა ხნის კაცი იყო.

- შემდეგი კანდიდატი,- თქვა და დიდი ძალისხმევის შედეგად ხელები მაგიდაზე აითრია.

მეორე კაცის სხეული შედარებით გეგმაზომიერი ჩანდა. თვალები ჰქონდა რუხი და მინიმალისტური. მესმეს - ქალს - ზედმეტად ჩვეულებრივი სახე ჰქონდა.

- შემდეგი, - გაისმა დაახლოებით ათ წუთში.
- შემდეგი, -
- ნუთუ არავინაა შესაფერისი,- ოხრავდა ქალი იმაზე ოდნავ დაბალი ხმით, ვიდრე ადამიანები ჩვეულებრივ ოხრავენ.

***

გრძელ დერეფანში თიხის რამდენიმე ქანდაკება იდგა. გზას მიუყვებოდა კანდიდატთა გამოსაცდელი ოთახისკენ. დერეფნის ბოლოდან მომავალი ბევრი ლურჯწინდებიანი ადამიანი შეხვდა. შემხვედრთა ფეხებს ათვალიერებდა მხოლოდ. კვირისტავებამდე ჩამოგრძელებული ხელები რომ ვერც ერთს შენიშნა, ბედნიერება იგრძნო. მხოლოდ თავად ჰქონდა ეს უპირატესობა. ტრიუმფალურად, თან რევერანსებით აპირებდა შესვლას. დერეფნის ბოლოდან ორი ადამიანის ხმა შემოესმა. მათაც ლურჯი წინდები ეცვათ. გრძელი, მუხლს ზემოთ ასული. თითქოს ლურჯი მუხლების ზემოთ აღარც გრძელდებოდნენ ფეხები. იქვე წყდებოდნენ. ადამიანების ხმებს მანიაკალური სიზუსტით იმახსოვრებდა. დროდადრო ჩაესმოდა კიდეც. თუნდაც ერთხელ მოსმენილი ხმა აღარასდროს დაავიწყდებოდა. ამ ორი ხმიდან ერთ-ერთი ისე ლაპარაკობდა, ეტყობოდა, სახე სულ წითელი ჰქონდა. იმ ოთახიდან გამოვიდნენ, საითაც მიეამრთებოდა. დერეფნის ბოლოს სპილოსძვლისფერი სპილოს ქანდაკებები იყვნენ აღამრთულები - ორნი. საკუთარი გრძელი ხელები შეისწორა და ოთახის ანომალიურმა ფორმამ შთააგონა კიდეც. ორი-სამი მეტრის სიმაღლის კარი და სიმეტრიის, გეგმაზომიერების, სიბრტყის აღქმის გარეშე გამოზრდილი რამდენიმე ჟანგიანი მარწუხი ჰქონდა ნაგებობას. პოსტმოდერნისტული არტიაო, გაიფიქრა. ამ დროს ის ორი ხმაც გაუსწორდა. დიადი სულისკვეთებების სასტიკი მსხვრევის ანარეკლი შეიმჩნეოდა ჰაერში. ყველა იქ მყოფს აერთიანებდა სულისკვეთება.

საცეცების მსგავსი გამონაზარდების რხევით გამხიარულებულმა, საკუთარი, დამსახურებული ბედნიერების უფლება ისევ გამოიყენა. იმ ორზეც გაიფიქრა, ამათაც აქვთ უფლებაო და თავი კარგ ადამიანად იგრძნო. მარწუხებიანი ნაგებობის შემდეგ ბაღი იწყებოდა. ბუნებრივი საწყისების აპოთეოზი შეიმჩნეოდა. „პირველყოფილი სიწმინდე- დეკალოგი“ , - განაშენიანებულ ნაწილს ასეთი წარწერა ჰქონდა. დეკალოგმა ფიქრები აუშალა ჩვენს გრძელხელება გმირს.

დეკაბრისტებზე - კბილები გააღრჭიალა..

მერე - დეკადანსი დაუდგა თვალწინ.

დეკადა - ცხოვრებას დაუკავშირა და ბედნიერების უფლებაც იქვე გამოიყენა, როგორი ღრმა მოცემულობაა ჩემში ჩადებულიო.

დერეფნის, კანდიდატთა ოთახის და განაშენიანების მეპატრონის მრწამსი ამ ტერიტორიაზე იყო ასახული. იმდენად ბუნებრივი იყო „დეკალოგის“ პირველყოფილება, საკუთარ თავსაც ყიდდა. ხელოვნურად ბუნებრივ ბაღს ფორმა არ ჰქონია. შემოსაზღვრა დაავიწყდათ, როგორც ჩანდა.

„დეკალოგში“ ათი ხე იყო დარგული. ათივე სხვადასხვა ჯიშის. ბაღის უფორმო სხეულს რაღაც აკლდა. არცერთი ჩიტი არ ყოფილა არცერთ ხეზე.

დეკადანსზე ფიქრის პარალელურად, მეგაფონი უკვე მეთექვსმეტედ უკრავდა ერთსა და იმავე მელოდიას. ამას კიდე, ხმების კოლექციონრობასთან ერთად, მასთან დაკავშირებული კალკულაციებიც კარგად გამოსდიოდა. მისი იქ ყოფნის მანძილზე ნამდვილად თექვსმეტჯერ დატრიალდა მელოდია. გრძნობამორეული გახლდათ გმირი. ო, რა ძლიერ უნდოდა აქ ემუშავა და ეს ხომ მხოლოდ შრომითი ხელშეკრულება არ იქნებოდა! ეს დიადი მიზანი იყო! მოწოდება! ფიქრებიდან კარის ხმამ გამოიყვანა. „დეკალოგს“ მოშორდა. ოთახიდან გამოსული, ერთი ლურჯწინდებიანი გოგო ტიროდა. ლურჯ წინდებზე იმშრალებდა ცრემლებს. ხმა არ ჰქონია ტირილს, თორემ რაღა ამოშლიდა გრძელხელებიანის თავიდან. გოგოს ხელში დროშა ეჭირა. დერეფნისკენ გაბრუნება რომ დააპირა, სწორედ მაშინ დაინახა „დეკალოგთან“ მდგარი ღიმილი.

- სალამი, მშვიდობისმყოფელო! - მიესალმა და ბედნიერების უფლება გამოიყენა.
- მოგესალმებით, - ლურჯი წინდები ერთმენეთისკენ მიიზიდნენ.

სანამ რაიმეს კითხავდა, მანამ გოგონამ დაიწო პასუხი. უყურებდა, თუმცა თვალებში ცრემლები არ იყო, არც ხმა ჰქონდა ტირილის, მომეჩვენაო, კმაყოფილმა გაიფიქრა.

- მოთხოვნის თანახმად, ლურჯი წინდები, გრძელი ხელები და დროშა თან მაქვს,- თან ღრმად ამოისუნთქა გოგომ,- მკითხეს შან-იანის არმიაზე რა იციო და მეც,- აღელდა გოგო, აღელდა ბედნიერების უფლების მქონეც, - მეც ვუპასუხე.
- მერე?
- ხელები საკმარისად გრძელი არ გაქვთო, - და ისევ აქვითინდა უხმოდ, იცრემლოდ,- თქვენ არ მოგთხოვენ ლურჯ წინდებს, მხოლოდ ქალებს სთხოვენ.
- გმადლობთ ინფორმაციისთვის. შეხვედრამდე! - დააიმედა.

იმასაც ხომ ჰქონდა უფლება ბედნიერების, თუნდაც ილუზიის.

აღმოსავლური მინიმალიზმიც რა ღრმად ყოფილა მათში ასახულიო, კმაყოფილმა ჩაიღიმა. გრამაფონი უკრავდა პარიზულ მელოდიას, უკვე ოცდამესამედ.

დიადი მოლოდინის დასასრულს, პრეტენდენტი ოთახში მიიწვიეს.

- საკმაოდ გრძელი ხელებია, მკლავებიც, მაჯის მტევნებიც,- ჩაილაპარაკა ქალმა ოდანავ ხმადაბლა, რაღაც მიინიშნა ფურცელზე და თან მადიანად შეათვალიერა.

გეგმაზომიერი ტანის მამაკაცმა ოთახიდან, ერთი მზერა მიუგდო სათვალის ქვემოდან და იმანაც წერა დაიწყო. მემატიანე უნდა იყოსო, ასე ჩათვალა კანდიდატმა და მაშინვე ნდობით განეწყო მის მიმართ.

- თქვენ, ალბათ, იცით რა მოგეთხოვებათ, - იკითხეს ნაცრისფერი თვალებიდან.
- რა თქმა უნდა. ჩემი ცხოვრებისეული დევიზიც სწორედ მშვიდობის ძიებაა, სულიერი სიმშვიდე - გლობალური იდილია. მე ომამდე ჟანგის მწარმოებელ ფრონტზე ვიბრძოდი. ჩემი ადგილი იქაა, სადაც მშვიდობაა გამოსახული, - თქვა და რიხიანად, ლოზუნგად დააყოლა,- მშვიდობა!

ხელოვნება!

ომიც კი - მშვიდობისათვის!

ამას ამბობდა და თან, კი არც იტყუებოდა, კისერზე ლურჯი ძარღვიც კი ებერებოდა ამ დროს, აი, იმ უფერო ცრელმების პატრონი ლურჯწინდებიანი გოგოს წინდების ფერი ძარღვები.

- ჩემი სულისკვეთება ბრძოლაა.

მინდა მშვიდობის ჯარისკაცი ვიყო! ხელები საკმარისად გრძელი მაქვს, - თქვა და სადემონსტრაციოდ კვირისტავებს ჩააცდინა მტევნები.

მაღალი იყო, შავგვრემანი, ძალა ჰქონდა, ხელები ეთრეოდა.

რუხთვალება იწერდა რაღაცას.

და აი, ამ დროს იმ კაცმა ამოიღო ხმა, ხელები ძირს რომ დასთრევდა. დანარჩენი ორი სრულად მაინც ვერასდროს გაიგებდნენ ღირსეული კაცი იყო თუ არა კადიდატი. აი, კომპეტენტურ პირს კი ვერაფერს გამოაპარებდი. თავისნაირს აფასებდა.

დიდი ხნის წინ, ბავშვობაში, მეზობელი ქალი თავის ეზოს რომ ალაგებდა ხოლმე, სწორედ მაშინ მიდიოდა სკოლაში ვლადიმირი, მაშინაც კომპეტენტურად. ყოველ ჯერზე, ერთსა და იმავე გზაზე, ახალ დეტალს ამჩნევდა და იმახსოვრებდა. ვალდებული იყო სახლში მისულს ახალი აღმოჩენა მიეტანა, არადა სულ ორმოცდაათ ნაბიჯზე იყო სკოლა, ორმოცდათერთმეტზე უფრო სწორად. მოკლე იყო ვლადიმირი. ხელებიც ძირს დასთრევდა და მეზობელი ქალის დალაგებულ ეზოს ძალაუნებურად ამტვერებდა, ყოველ ჯერზე.

მეზობელ ქალსაც, დიდ ხალს აღარ ეყო მოთმინება და ერთხელაც მიაძახა, აი, არაქენმეტიტანიო.

ვალდიმირმაც აღარ ქნა.

ვერ აიყარა მეტად ტანი.

- იქნებ გვითხრათ, როდესაც იბრძოდით, რა ფიქრი გქონდათ ყველაზე ხშირად თავში, - ვლადიმირმა მზერა მიაპყრო.

- იმისათვის რომ იდგე, სულ უნდა ირბინო,- უპასუხა.

თითქოს-და იდეალურად ჩაჯდა ყველაფერი.

აღმოსავლურადაც უპასუხა,

მინიმალისტურადაც...

მხოლოდ ვლადიმირს უყურებდა და მას თვალები არ ჰქონდა. ეცადა ხმა მაინც დარჩენოდა - ვერც ეს მოახერხა. ზედმეტად კომპეტენტურიაო, გაიფიქრა და მისით აღფრთოვანებული დაელოდა შემდეგ კითხვას.

ახლა ქალი ჩაერთო. რაღაცის გადანაჭერს გავდა ეს ქალი. თითქოს აკლდა დასრულება, ბოლომდე ადამიანი რომ ყოფილიყო.

- კიდევ რას გვეტყვით? აი, რატომ თქვენ? - შეეცადა მომხიბვლელობა შეენარჩუნებინა საკუთარი ფრაზისთვის. ქალი იყო მაინც.
- მე ვთვლი, რომ... - აი, ესეც ის კითხვა იყო, რასაც ელოდა, ბედნიერების თაობაზე, - რომ ყველა ადამიანი იმსახურებს იყოს ბედნიერი, - ყველას აქვს უფლება, არ აქვს მნიშვნელობა საკმარისად გრძელი ხელები აქვს თუ მოკლე, ვიღაც ვიგინდარაა, თუ ჭეშმარიტი მებრძოლი - მშვიდობის მაძიებელი. სისუსტე არაა პირდაპირპროპორციული თვითგანადგურების, - ამბობდა და მართლა ფიქრობდა ამას.

დაეფიცება.

მოიხიბლა არასრულყოფილი ქალი. ასე ფიქრობდა თვითონაც. აღფრთოვანდა კიდეც, წერა განაგრძო ამიტომაც.

საერთოდაც, არაფერი ქონდა ამ ქალს მაიდენტიფიცირებელი. სახე, თითქოს, არც ჰქონია.

- თქვენ, ალბათ, გესმით რა გევალებათ.. - დაიწყო რუხმა, - ალბათ, შეიტყობდით, „დეკალოგი“ დიადი პროექტია, მიზანია დიადი - მშვიდობა! მშვიდობა ყოველგან! გვჭირდება პიროვნება, რომელიც შეძლებს მშვიდობის სიმბოლოდ იქცეს. თქვენ საკუთარი გრძელი ხელებით შემოეხვევით ერთ-ერთ ხეს, შემოეხვევით ხვიარად. ის, რომ ჟანგის ფრონტზე მუშაობდით, დამატებითი პლიუსია. ჟანგიანი მუზარადი მეტად შეგასისხლხორცებთ დიად მიზანთან - იყოთ მშვიდობისმყოფელი! თქვენზე დაწერენ, გადაიღებენ სიუჟეტებს და თქვენ, თქვენ შექმნით მშვიდობას! - ლაპარაკობდა მემატიანე.

ენთებოდა თვალები ხვიარას.

- ახლა საჭიროა თქვენი ხელების სიგრძე გავიგოთ. ორფენად შემოეხვევით ხეს.

პოტენციური ხვიარის სახე სისხლისმსმელი სურვილით იყო ანთებული. შლეგური სურვილი სახეზე არსებულ ყველა ნაოჭს ერთად უჩენდა. იღიმოდა, მხოლოდ საზარლად.

ხელების გაზომვა დიდ ხანს გაგრძელდა. მესამე ფენის ხვიარობისთვის აღარ ეყოთ ხელები, ამიტომ უთხრეს, რომ სულ არ აიყვანდნენ.

- მშვიდობა!

ხელოვნება!

სიწმინდე! დიდება მშვიდობას! მშვიდობას!

ადამიანები მიიღებენ მშვიდობას!

მე ხელები ძირს დამთრევს. ეს ღალატია!

- თქვენ ოცდამერვე თუ ოცდამეცხრე ხართ, ვინც დღეს მოვიდა, იცით, არ უნდა გაბრაზდეთ, თქვა გადაჭრილმა ქალმა.

- არა, ეს შეუძლებელია! შეუძლებელი!

- გაიყვანეთ ! თქვა ვლადიმირმა.

აღარავინ შეწინააღმდეგებია.

ხვიარა იმახსოვრებდა ხმებს შლეგურად.

- მშვიდობა! მშვიდობისმყოფელი!

თან კი არც იტყუებოდა, სჯეროდა...

***

იმ ღამით, წარმოიდგინეთ, დეკალოგის მეპატრონეს დიდხანს არ დაეძინა.

სიწმინდის ხვეულები ტანჯავდნენ.

მეორე დღეს, შეხვედრა იყო სადეკალოგთაშორისო საზოგადოებებთან, სხვადასხვა განაშენიანებებს შორის.

მშიდობის ხვიარა ნაპოვნი იყო, ვიღაც სხვა. არანაკლები სულისკვეთებით.

ჯეროდა იმასაც, მშვიდობის...

საზოგადოებები დიდ განაშენიანებებს ისევ ააგებდნენ. ერთი დიდი აბსურდი იყო.

.. რაც შეეხება მეპატრონეს

მიაგნო იმ ღამით ჭეშმარიტებას!

- ერთ ცხვარი, ორი ცხვარი, სამი ცხვარი, ოთხი ცხვარი...

ოცდამერვე ცხვარზე ჩაეძინა.